

კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?

ჩვენი მიზანია ოჯახების ეკონომიკურად გაძლიერება. საქართველო გახდება ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის ქვეყანა მსოფლიოში.

1. 10-მილიარდდოლარიანი ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში, რაც მოიტანს ასობით ათას ახალ სამუშაო ადგილს.
2. გაუქმდება საშემოსავლო გადასახადი - მეტი შემოსავალი ოჯახებსა და ბიზნესს.
3. სესხის დაბალი პროცენტი და კრედიტების გადავადება - მეტი შესაძლებლობები ბიზნესსა და ოჯახებს!
4. სტაბილური და გამყარებული ლარი - პროგნოზირებადი გარემო ბიზნესისთვის!
5. დაცული ბიზნესი და ხელშეუხებელი კერძო საკუთრება - გაუქმდება ფინანსური პოლიცია და ეკონომიკურ დანაშაულზე აღარ იარსებებს სისხლისსამართლებრივი დევნა.

ჩვენი გეგმით:

- გაუქმდება საშემოსავლო და მოგების გადასახადი - ფისკალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად გადასახადები გაუქმდება ეტაპობრივად და ყოველწლიურად დაიკლებს 5-5%-ით;
- ეკონომიკური და საგადასახადო გადაცდომებისთვის აღარ იქნება გათვალისწინებული პატიმრობა და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- გაუქმდება ფინანსური პოლიცია;
- გაიზრდება არბიტრაჟის, მათ შორის, უცხოური არბიტრაჟის როლი საგადასახადო დავებში;
- ამერიკასთან გაფორმდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება;
- საქართველო გახდება ევროპაში ყველაზე მცირე მთავრობის მქონე ქვეყანა.

რეფორმის შედეგად:

- 2000-ლარამდე გაიზრდება (გაორმაგდება) საქართველოში არსებული საშუალო ხელფასი. საშემოსავლო გადასახადის გაუქმებით, ყოველთვიურად, თითოეულ დასაქმებულს კუთვნილი ხელფასიდან აღარ ჩამოეჭრება 20% და შეძლებს, უკეთ იზრუნოს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე;
- შეიქმნება, მინიმუმ, 100 000 ახალი სამუშაო ადგილი მხოლოდ საგადასახადო რეფორმის შედეგად. გადასახადების გაუქმებით ბიზნესი შეძლებს სწრაფ განვითარებას, რაც, ბუნებრივია, ქვეყანაში დასაქმების ახალ შესაძლებლობებს გააჩენს;
- აღმოიფხვრება სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის არსებული დავების უმრავლესობა და შეიქმნება ბიზნესსაქმიანობისთვის სამართლიანი, მარტივი და დაცული გარემო;
- საგადასახადო წნეხი არსებული 26%-იდან შემცირდება 15%-მდე, რაც ევროპისთვის - საუკეთესო, ხოლო მსოფლიოსთვის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. გაიზრდება ქვეყნის საინვესტიციო რეპუტაცია და მიზიდველობა მსოფლიო მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას.

2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?

საგადასახადო და ტექნოლოგიური მთავრობის რეფორმა უზრუნველყოფს საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდას მსოფლიოში და ხელს შეუწყობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდას.

რეფორმის შედეგად საქართველო გახდება რეგიონის „სილიკონ ველი“. სახელმწიფო 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან 1 მილიარდ ლარს გამოყოფს. სახელმწიფოს ფინანსური რესურსითა და დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით რეფორმის განხორციელებისთვის საჭირო ტექნოლოგიურ სერვისებს შექმნიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტექნოლოგიური ორგანიზაციები. ქვეყანაში გაიზრდება ტექნოლოგიების ცოდნის დონე, გაჩნდებიან ახალი, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური კომპანიები.

3. გეგმავეთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასამდიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.

ჩვენი გეგმის მიზანია ტექნოლოგიური და თანამედროვე სოფლის განვითარება ქვეყანაში. სოფლის მეურნეობის დაფინანსება უნდა ითვალისწინებდეს სწრაფ განვითარებას; აქცენტი უნდა გაკეთდეს განათლებაზე, ახალ ტექნოლოგიებსა და ინფრასტრუქტურაზე.

100 სოფლის სახლი - მომსახურების თანამედროვე ცენტრები:

- მთავარი გეგმით ქვეყნის მასშტაბით გაიხსნება 100 სოფლის სახლი, რომლებიც უზრუნველყოფს ქართველი ფერმერებისთვის საჭირო ყველა მომსახურების ერთ სივრცეში მიწოდებას. მოსახლეობას აღარ მოუწევს სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებაში სიარული სერვისების მისაღებად - სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება ერთ სივრცეში, ერთი ფანჯრის პრინციპით, მსგავსად იუსტიციის სახლისა.

სოფლის სახლების 5 მთავარი ფუნქცია იქნება:

- **აგრონომები და ვეტექიმები:** სოფლის სახლში იმუშავენ მაღალი კვალიფიკაციის აგრონომები და ვეტექიმები, მათ შორის უცხოეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტები, რომლებიც ჩაატარებენ სწავლებებს და სამუშაო შეხვედრებს თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების მიზნით.
- **პროფესიული გადამზადების სასწავლო ცენტრი:** დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით სოფლის სახლებში იფუნქციონირებს პროფესიული გადამზადების თანამედროვე სასწავლო ცენტრები.
- **ლაბორატორიული მომსახურება:** სოფლის სახლებში იფუნქციონირებს საბაზო შესაძლებლობების ლაბორატორიული მომსახურება. მოძრავი მობილური ლაბორატორიების შექმნით შესაძლებელი იქნება, მოსახლეობამ ხანმოკლე პერიოდში ადგილზევე მიიღოს ლაბორატორიული კვლევების შედეგები.
- **სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობის განვითარება:** დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით ინტენსიურად დაიწყება თანამედროვე სტანდარტის სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების მშენებლობა.
- **რეალიზაცია:** სახელმწიფო უზრუნველყოფს ქართული პროდუქციისთვის რეალიზაციის ახალი ბაზრების მოძებნასა და ათვისებას.

მიწის საკუთრებაში გადაცემა და უფასო რეგისტრაცია: დაჩქარებული წესით, 1 წელიწადში იქნება შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უფასო რეგისტრაცია. აზომვასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად დაფარავს სახელმწიფო. სამოვრები საკუთრებაში გადაეცემა სოფელს და სამოვრის სტატუსი არ შეიცვლება სოფლის მოსახლეობის უმრავლესობის ნების გარეშე. სოფლების ინტერესიდან გამომდინარე, სამოვრები გამოსყიდება და გადაეცემა სოფლის მოსახლეობას.

4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?

პროგრამა გულისხმობს საშემოსავლო და მოგების გადასახადის სრულად გაუქმებას, აგრეთვე საგადასახადო ადმინისტრირების მაქსიმალურად გამარტივებას. ჩვენი მიდგომებით საგადასახადო კოდექსის 2/3 უბრალოდ გაუქმდება, რაც პირდაპირ გააძლიერებს ბიზნესს.

5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშელავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?

პანდემიის დროს წარმოდგენილი ჩვენი ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, ფულადი მხარდაჭერა გაეწევა ყველას, გარდა იმ ოჯახებისა, რომელთა შემოსავალი 40 ათასზე მეტია. მხარდაჭერა გულისხმობს 1000 ლარს სრულწლოვნებისთვის, 500 ლარს - არასრულწლოვნებისთვის. ამ თანხის მობილიზება უნდა მოხდეს პანდემიის დროს მიღებული დახმარებებიდან (დაახლოებით სამი მილიარდი ლარი).

6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?

სრულად დავიცავთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დადგენილ წესებს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ბიზნესის წარმოებას და შედეგად არ შემცირდეს სამუშაო ადგილები. ამავე დროს, გამოვრიცხავთ შერჩევითობასა და პოლიტიკური ნიშნით შეზღუდვებს - დაწესებული რეგულაცია უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე თანაბრად.

7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?

სახელმწიფო ვალდებულია შექმნას განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები. ამ მიზნით, უპირველესი ამოცანაა ინტერნეტიზაციის პრობლემის გადაჭრა ნებისმიერ ქალაქსა და სოფელში. ინტერნეტის არსებობის პირობებში ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს უნდა გადაეცეს ინტერნეტის მიზნობრივი ვაუჩერი, რათა ფინანსური წნეხი არ დააწვეთ ოჯახებს. მოკვლევის საფუძველზე უნდა გაირკვეს, რამდენ მოსწავლესა და მასწავლებელს არ აქვს შესაბამისი ტექნიკა და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი მიწოდება და დროებით სარგებლობაში გადაცემა. იმავედროულად, აუცილებელია მასწავლებელთა გადამზადება იმისთვის, რომ ონლაინსწავლება იყოს ხარისხიანი და ინტერაქტიური. დისტანციური სწავლება თავის თავში მხოლოდ ონლაინსწავლებას არ გულისხმობს, ამიტომაც მნიშვნელოვანია ფინანსური, მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსების მობილიზება, საგანმანათლებლო პორტალების შექმნა და დისტანციური სწავლების საჭიროებისას მათი გამოყენება.

8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

პოლიტიკა და ეკონომიკა

1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

ვაპირებთ სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას.

2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად?

საქართველოს უახლეს ისტორიაში პირველად, ოპოზიციურმა პარტიებმა მიაღწიეს უპრეცედენტო შეთანხმებას სასამართლო რეფორმის ძირეული ცვლილებების შესახებ. თითოეული ოჯახის სწრაფ განვითარებაზე ორიენტირებული შეთანხმება ეკონომიკურად წარმატებული საქართველოს მშენებლობის საფუძველი გახდება. მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „გირჩი“, „სამოქალაქო მოძრაობა“ და „ახალი საქართველო“, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამარცხების შემდეგ, განახორციელებენ ძირეულ სასამართლო რეფორმას, რაც ჩვენი ქვეყნის სწრაფი განვითარების საფუძველი, თითოეული მოქალაქის სიმშვიდისა და დაცულობის გარანტია გახდება. სასამართლო რეფორმა იქნება მთავარი რეფორმა, რითაც საქართველო იქცევა რეგიონის ცენტრად ინვესტიციების განხორციელების მიმართულებით. ჩვენი გეგმით:

- კერძო საკუთრების უფლება იქნება გარანტირებულად დაცული და ხელშეუხებელი;
- უზენაეს და სააპელაციო ინსტანციებში ხანგრძლივი ვადით დაინიშნებიან აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოდან მოწვეული მოსამართლეები, რომლებიც ყველა შესაძლო კოლეგიის უმრავლესობას უნდა შეადგენდნენ;
- სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასევე სახელმწიფოსა და ბიზნესს, ან სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის (სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ) დავებზე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართლებრივ პრეცედენტებად იქნება აღიარებული;
- მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის 2017 წლიდან გაფორმებული ყველა აქტი გაუქმდება; საკონსტიტუციო ცვლილებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ შემადგენლობას უფლებამოსილება შეუწყდება; უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები გაერთიანდება;
- 2021 წელს გათვალისწინებულია ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების განხილვისას; 2024 წლის ბოლომდე კი - ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღება ყველა დანაშაულზე, რომლებიც პატიმრობას ითვალისწინებს;
- 2021 წლის ბოლომდე ამოქმედდება მოსამართლის არჩევითობის პრინციპი პირველ ინსტანციაში, რომელიც განიხილავს საქმეთა უმრავლესობას;
- სისხლის სამართლის საქმეებში ბრალდებულს ექნება შესაძლებლობა, ნაფიც მსაჯულთან ერთად აირჩიოს მისი საქმის განმხილველი მოსამართლე. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში კი მოსარჩელეს მიეცემა შესაძლებლობა, აირჩიოს მისი საქმის განმხილველი მოსამართლე;

- ქალთა, განსაკუთრებით კი, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა გაძლიერება და მათთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?

1. პოლიცია იქნება სრულად და რეალურად დეპოლიტიზებული. ეს შეეხება როგორც საპატრულო პოლიციას, ისე კრიმინალურ პოლიციას, ასევე საპოლიციო სპეცრაზმებს. მისი ხელმძღვანელი იქნება შს მინისტრისგან დამოუკიდებელი. იგი შეირჩევა სამოქალაქო სექტორიდან დასახელებული კანდიდატურებისგან და მისი დამტკიცებისთვის აუცილებელი იქნება ოპოზიციის ერთი მესამედის თანხმობა.
2. იუსტიციის სამინისტროს გამოეყოფა სასჯელაღსრულების სამსახური. მისი ხელმძღვანელი მინისტრისგან დამოუკიდებელი იქნება. იგი სამოქალაქო სექტორიდან დასახელებული კანდიდატურებისგან შეირჩევა და მის დამტკიცებას ოპოზიციის არა ნაკლებ ერთი მესამედის თანხმობა დასჭირდება.
3. პროკურატურა გაიყოფა ორ უწყებად: შეიქმნება ზოგადი პროკურატურა და სამოხელეო საქმეთა პროკურატურა, რომლებიც არც ვინმეს ქვემდებარეობაში იქნებიან და არც ურთიერთდამოკიდებულებაში. ამ უწყებების ხელმძღვანელები სამოქალაქო სექტორიდან დასახელდებიან და დამტკიცებისთვის ოპოზიციის ერთი მესამედის თანხმობა იქნება აუცილებელი.
4. სახალხო დამცველი და ადამიანის უფლებების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს შეარჩევს ოპოზიცია.
5. გაუქმდება სუსი - სახელმწიფო უწყებების პოლიტიკური ნიშნით გამოყენებასთან მიმართებით უმნიშვნელო კითხვის ნიშნებიც არ უნდა არსებობდეს. პოლიტიკური პოლიცია საქართველოში აღარ იარსებებს. კონტრაზვერვის და ანტიტერორისტული სამსახურები გადაინაცვლებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.
6. ე.წ. მოსმენის გასაღები გადაეცემა დამოუკიდებელ სასამართლოს და ამ ფუნქციის განხორციელებაზე სრული და შეუზღუდავი მონიტორინგის უფლება სახალხო დამცველს მიენიჭება.
7. ფინანსური პოლიცია უნდა გაუქმდეს. მოხდება ეკონომიკური და საგადასახადო დანაშაულთა უმრავლესობის დეკრიმინალიზაცია, დანარჩენთა მიმართ კი გამოირიცხება პატიმრობა როგორც აღკვეთის ღონისძიება, ასევე როგორც სასჯელი.
8. სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი ჩამოყალიბდება როგორც ნამდვილად დამოუკიდებელი უწყება. ბიუროს ხელმძღვანელს სამოქალაქო სექტორი დასახელებს და მისი კანდიდატურის დამტკიცებას ოპოზიციის ერთი მესამედის თანხმობა დასჭირდება. დასახელების უფლებამოსილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციათა ნუსხას სახალხო დამცველი განსაზღვრავს.
9. სასამართლო რეფორმა უნდა ჩატარდეს ფართო პოლიტიკური კონსენსუსით, არა მხოლოდ მმართველი ძალის, უბრალოდ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ. ამ პროცესში გასათვალისწინებელია ის შეთანხმებები, რომლებსაც პარტიებთან საჯარო და გამჭვირვალე განხილვების შედეგად მივაღწიეთ.

4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

საქართველოში უნდა არსებობდეს პროპორციული საარჩევნო სისტემა. უნდა შეიცვალოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და კომისიის წევრების შერჩევისა გადაწყვეტი როლი უნდა მიენიჭოთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ კომპონენტს კი - უმცირესი. დამატებითი რეგულაციები უნდა დაწესდეს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, სრულად უნდა შეიზღუდოს არჩევნებში საჯარო მოხელეების ჩართვა, ისევე როგორც სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების მიერ პარტიების დაფინანსება.

5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?

ჩვენი გეგმის თანახმად, განათლების რეფორმის მიზანია, საქართველო გახდეს თანამედროვე და ტექნოლოგიური საგანმანათლებლო ცენტრი რეგიონში და მომავალ თაობებს თვითრეალიზებისა და წარმატების თანაბარი შესაძლებლობა მისცეს.

ბაღის აღსაზრდელებს: გადაეცემათ 1500-ლარიანი სკოლამდელი განათლების ვაუჩერი. ჩვენ შემოვიღებთ საბავშვო ბაღების ვაუჩერულ დაფინანსებას, როცა ყველა მშობელს მიეცემა არჩევანის შესაძლებლობა, შვილი მიიყვანოს როგორც საჯარო, ისე კერძო ბაღში.

სასკოლო ასაკის მოსწავლეებს: ჩვენი გეგმა ითვალისწინებს 2000-ლარიანი სასკოლო ვაუჩერის გადაცემას. 3-ჯერ გაზრდილი დაფინანსებით მოსწავლე ისარგებლებს როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლაში. სასკოლო ასაკი უნდა განისაზღვროს სამართლიანი პრინციპით - კალენდარული წლით. 5 წლის ასაკის ბავშვის მშობელმა თავად უნდა მიიღოს შვილის სკოლაში მიყვანის გადაწყვეტილება, რაშიც მას სახელმწიფო ფსიქოლოგებისა და ექსპერტების ინდივიდუალური რეკომენდაციებისა და ონლაინკონსულტაციის უზრუნველყოფით დაეხმარება.

პედაგოგებს: 2000-ლარიანი ანაზღაურება. ვაუჩერული დაფინანსების გაორმაგება სკოლის შემოსავალს საშუალოდ 2,5-ჯერ გაზრდის. ზოგად განათლებაში დაფინანსების კონკურენციაზე დაფუძნებულ მოდელზე გადასვლა, საშემოსავლო/მოგების გადასახადების გაუქმება და დაფინანსების ზრდა მნიშვნელოვნად აისახება პედაგოგის ხელფასზე.

ჩვენი გეგმის თანახმად, უნდა დაინერგოს პროფესიული განათლების საერთაშორისოდ აღიარებული 3, 6 და 9-თვიანი BTEC პროგრამები და კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი მოქალაქეების ხელფასს და გაადვილებს ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში მათ დასაქმებას.

ჩვენი გეგმა ითვალისწინებს უმაღლესი სასწავლებლის 100%-იანი სახელმწიფო გრანტის 2250 ლარიდან 4500 ლარამდე გაზრდას. ყველა სტუდენტი, რომლებსაც დღეს აქვთ 30%-იანი და მეტი გრანტი, დაფინანსდებიან სრულად - 100%-ით. შესაბამისად, 15 000-დან 50 000-მდე გაიზრდება 100%-იანი გრანტის მფლობელთა რაოდენობა. სრულად დაფინანსდება მსოფლიოს ტოპ-100 უნივერსიტეტში მიღებული ყველა სტუდენტი.

განათლების მინისტრი შეითავსებს კომერციული ატამეს ფუნქციას და ლობირებას გაუწევს რეფორმებს, რომლებიც გაამარტივებს სასწავლო ვიზების მიღების პროცესს; ასევე ევროპის თანამედროვე საგანმანათლებლო ცენტრში პოპულარიზებას გაუწევს იდეას - „ისწავლე საქართველოში!“.

6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.

საქართველოს ეკონომიკა მომდევნო 4 წელიწადში 30 მილიარდით გაიზრდება. ეს ნიშნავს, ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკის 8 000 ლარით ზრდას.

7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.

ჩვენი ხედვითა და ჩვენი გეგმით, სახელმწიფო ბიუჯეტის წილი ეკონომიკაში შემცირდება 20%-მდე, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის წილი კი, 25%-მდე.

8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?

თავისუფალი აქტით განსაზღვრულია სამი ინდიკატორი პასუხისმგებლიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესანარჩუნებლად: ბიუჯეტის დეფიციტი, მთავრობის ვალისა და ბიუჯეტის წილი ეკონომიკაში. სწრაფი რეფორმების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა რეფორმებში. რეალისტური მიდგომა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საწყის ეტაპზე, რეფორმებისა და ახალი სახელმწიფო ინვესტიციების საჭიროების შედეგად, ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი იქნება, თუმცა, სამწლიან პერიოდში, 2023 წლისთვის, ბიუჯეტის დეფიციტს შევამცირებთ 3%-მდე. ჩვენი გეგმით სახელმწიფო ბიუჯეტის წილი ეკონომიკაში შემცირდება 20%-მდე, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის წილი - 25%-მდე.

9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?

ჩვენი გეგმით, ტექნოლოგიური მთავრობის რეფორმის შედეგად, საქართველოს ეყოლება თანამედროვე, გამჭვირვალე და ადამიანის საჭიროებებს მორგებული ტექნოლოგიური მთავრობა. საქართველოს ეყოლება ევროპაში ყველაზე მცირე ზომის მთავრობა, რომელიც მოსახლეობისა და ბიზნესის საჭიროებებს მართავს გამარტივებული საჯარო სერვისებით - მინიმუმამდე შემცირებული ბიუროკრატიული მექანიზმებითა და კორუფციის რისკებით. გამჭვირვალე და ტექნოლოგიური მთავრობის კონცეფციაში სახელმწიფო ინვესტიცია ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური ბიზნესების სწრაფ განვითარებას და ჩვენც, ისევე როგორც ეს შეძლეს ესტონეთმა და სხვა ქვეყნებმა, ვიქნებით მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე ტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებაში.

საქართველოს აქვს მცირე ზომის, გამჭვირვალე, ტექნოლოგიური მთავრობის ფორმირების წარმატებული მაგალითები, როგორც არის იუსტიციის სახლები, საპატრულო და საბაჟო

რეფორმა. საჭიროა ამ რეფორმების გაგრძელება, მეტი სახელმწიფო სერვისის ელექტრონიზაცია და გამჭვირვალე საჯარო მმართველობის ჩამოყალიბება და დამკვიდრება.

ჩვენ მოვახდენთ მთელი ეკონომიკური სექტორის დიგიტალიზაციას (გაციფრულებას), რაც გულისხმობს: მსოფლიო ციფრულ ბაზარზე სწრაფ ინტეგრაციას, სტარტაპ-ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და ინტენსიურ განვითარებას, ბიზნესისთვის აუცილებელი კიბერუსაფრთხოებისა და კომფორტული სამართლებრივი გარემოს შექმნას.

საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?

ჩვენი გეგმით გათვალისწინებული ჯანდაცვის რეფორმის მიზანია შეიქმნას დაავადების პრევენციასა და მოსახლეობის ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეზე ორიენტირებული ჯანდაცვის ეროვნული სისტემა. ასეთმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლება მიიღოს დროული, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, ჯანდაცვის არაეფექტიანი სისტემისა და სოციალური უსამართლობის შედეგად, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ევროპის უმრავლეს ქვეყნებთან შედარებით, 10 წლით ნაკლებია. სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი ბავშვებში ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება. ჯანდაცვის ეროვნული სისტემის პრიორიტეტი გახდება პრევენციასა და ხარისხზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურება - უსაფრთხო, ეფექტიანი და ეფექტური, განსაკუთრებით ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია, ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა.

ჩვენი გეგმით:

500 მილიონი ლარი სახელმწიფო ინვესტიცია მოქალაქეთა ჯანმრთელობაში

- განახევრდება მედიკამენტების ფასები; დაინერგება სრულყოფილი პროფილაქტიკური კვლევა სულ მცირე წელიწადში ერთხელ; საყოველთაო ჯანდაცვის გაუმჯობესებული სერვისის უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 400-ლარიანი კერძო პრემიუმ დაზღვევით ყველასთვის, ვინც სარგებლობს საყოველთაო ჯანდაცვით 50 ათას ლარამდე, გადაუდებელი და გეგმური ოპერაციების სრული დაფინანსებით; მშობიარობა იქნება უფასო, აგრეთვე - სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსება;
- გაორმაგდება ჯანდაცვის სფეროს თანამშრომელთა ხელფასები;
- პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების, ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგება კერძო საექიმო პრაქტიკა;
- გაიზრდება სახელმწიფო ონკოლოგიური პროგრამების დაფინანსება და გაიხსნება რეგიონალური მასშტაბის ონკოლოგიური ცენტრი - აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით და დაკომპლექტებული მაღალი კლასის სპეციალისტებით;

- 3 მილიარდი ლარი სამედიცინო ტურიზმიდან ჯანდაცვის სექტორში - საქართველოში სამკურნალოდ მეტი პაციენტის შემოსვლა ნიშნავს მეტი ფინანსური რესურსის გაჩენას კლინიკებისთვის, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში ჯანდაცვის ტექნოლოგიური და თანამედროვე სისტემის ფორმირებას და ჯანდაცვის სექტორში დასაქმებულთა მნიშვნელოვნად გაზრდილ ხელფასებს;
- უფასო პალიატიური მზრუნველობა.

2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?

ჩვენი გეგმით გათვალისწინებული სოციალური მხარდაჭერის რეფორმის მიზანია, სიღარიბიდან ამოიყვანოს ოჯახები და ამ გზით ხელი შეუწყოს ქვეყანაში ფინანსურად ძლიერი და დამოუკიდებელი ოჯახების ჩამოყალიბებას.

დღეს არსებული სოციალური პოლიტიკა არ არის ორიენტირებული ადამიანის სიღარიბიდან ამოყვანაზე და, უფრო მეტიც, უბიძგებს მას სიღარიბეში დარჩენისკენ. დღეს არსებული სისტემით, მოქალაქეები, ერთჯერადად დასაქმების შემთხვევაშიც კი, კარგავენ სოციალურ დახმარებას. მათ არ უნდა უწევდეთ სამსახურზე უარის თქმა დახმარების დაკარგვის შიშით.

სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირებს, დასაქმებიდან ერთი წლის განმავლობაში, შეუვნარჩუნებთ სახელმწიფო დახმარებას, რათა მათ გაუჩნდეთ ფინანსური სტაბილურობის განცდა, შეძლონ ფეხზე მყარად დადგომა და საკუთარ ოჯახზე ზრუნვა.

სოციალური დახმარების მიმღებთა სარეიტინგო ქულას გავზრდით 200 000-მდე და შედეგად, გავაორმაგებთ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობას (დახმარებას მიიღებს 1 მილიონი ადამიანი); სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული 200 000-მდე ქულის მქონე ოჯახების ყველა წევრს დაენიშნება 100-ლარიანი ფულადი მხარდაჭერა.

200 000-მდე ქულის მქონე ყველა მოქალაქეს სრულად დაუფინანსდება ჯანდაცვა და განათლება.

ჩვენი გეგმით, პენსიონერებზე მზრუნველობის რეფორმის მიზანია, ხანდაზმულებისთვის ევროპული სტანდარტის ღირსეული და ხანგრძლივი ცხოვრების უზრუნველყოფა. უკიდურესი გაჭირვებისა და გაუსაძლისი პირობების შედეგად, საქართველოში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, 10 წლით ნაკლებია. კრიზისამდე სოციალურად დაუცველის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა და სახელმწიფო დახმარებას იღებდა 75 000 პენსიონერი. თუმცა, ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიღარიბის გამო, გაცილებით მეტი პენსიონერი საჭიროებს სახელმწიფო დახმარებას - სოციალური დახმარების მიღებაზე განაცხადი უკვე შეიტანა და შესაბამის ბაზაში დამატებით 125 000 პენსიონერი დარეგისტრირდა.

პენსია 400 ლარი და ყოველწლიურად მზარდი ღირსეული მხარდაჭერა პენსიონერებს!

75 000 პენსიონერის ნაცვლად სოციალურ დახმარებას მიიღებს საპენსიო ასაკის 200 000 პენსიონერი;

ყველა პენსიონერი მიიღებს 400-ლარიან კერძო, პრემიუმხარისხის სადაზღვევო ვაუჩერს, რომლითაც მათ დაუფინანსდებათ მედიკამენტების, მინიმუმ, 50%;

უსახლკარო პენსიონერებისთვის შეიქმნება ევროპული სტანდარტის პენსიონერთა საერთო საცხოვრებელი.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?

ჩვენი მიზანია: ერთიანი, თავისუფალი, ძლიერი საქართველო, ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობით, დევნილი საზოგადოების შენარჩუნება (რაც გულისხმობს ინტეგრაციას და არა ასიმილაციას), მათი ღირსეული დაბრუნება მშობლიურ მიწაზე. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დევნილებს მიეცეთ საშუალება აქტიურად იყვნენ ჩართული ამ საკითხების გადაწყვეტაში.

დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფა:

- დევნილთა და ომის ვეტერანთა დახმარება გახდება 100 ლარი;
- ყველა დევნილი უზრუნველყოფილი იქნება საცხოვრებელით, 1 წლის განმავლობაში ლაზიკას მშენებლობისას გათვალისწინებული იქნება დევნილთა დასაქმება და საცხოვრებლების მშენებლობა;
- დევნილებს აღუდგებათ უფლება აირჩიონ და თავად იყვნენ არჩეული ადგილობრივ წარმომადგენლობით სტრუქტურებში;
- ლეგიტიმური სტრუქტურების საქმიანობა და ბიუჯეტი იქნება გამჭვირვალე და მოხმარდება დევნილი საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანდაცვით და საგანმანათლებლო პროგრამებს;
- დასრულდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე დევნილთა უძრავი ქონების აღწერა და ეს ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდება მემკვიდრეობის უფლებით (გასხვისების უფლების გარეშე);
- ავამუშავებთ ყველა სამართლებრივ მექანიზმს რუსეთის მიერ განხორციელებული ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ორგანიზატორთა და შემსრულებელთა წინააღმდეგ;
- გამოვიყენებთ ყველა არსებულ საერთაშორისო საშუალებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უფლებების, მათ შორის, განათლების, კულტურული და რელიგიური უფლებების დასაცავად.

4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?

ინდივიდუალური თავისუფლება ყველას ბედნიერებისთვის! ჩვენ ვცნობთ და დავიცავთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უზენაეს

ღირებულებებს. კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორია და ამის გარანტი იქნება როგორც დამოუკიდებელი სასამართლო, ისე პოლიტიკურად ნეიტრალური ადმინისტრაციული ორგანო. ჩვენი გეგმით:

- უზენაეს სასამართლოში, ევროპის სასამართლოს ანალოგიით ჩამოყალიბდება ადამიანის უფლებათა დაცვის პალატა, რომლის შემადგენლობის 2/3 უცხოელი მოსამართლეები იქნებიან;
- განუხრელად იქნება დაცული რელიგიის თავისუფლება, როგორც ადამიანის იდენტობის განუყოფელი ნაწილი;
- სრულად იქნება დაცული გამოხატვის თავისუფლება. ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლა კი მხოლოდ სიმართლის დაპირისპირებითა და სასამართლოში დავით გახდება შესაძლებელი;
- ფარული მიყურადებისა და თვალთვალის გასაღები ხელისუფლებისგან დამოუკიდებელ უწყებას გადაეცემა.

5. პარლამენტაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად და მათი სამოქალაქო უფლებების სრულყოფილად გამოყენების მიზნით, ხელს შევუწყობთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქალთა ორგანიზაციის განვითარებას. ენმ-ს ქალთა ორგანიზაცია 2013 წლის მარტში შეიქმნა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა 50-ზე მეტი რაიონული ქალთა ორგანიზაცია და მოხდა ათასობით ქალი აქტივისტის მობილიზაცია, ისევე, როგორც მრავალი ლიდერი ქალის იდენტიფიკაცია და ჩართვა ადგილობრივ თუ ეროვნულ პოლიტიკაში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ენმ-ს ქალთა ორგანიზაციის სტრუქტურული განვითარება და მისი აქტივობების ეფექტიანად განხორციელება; ამგვარად, ჩვენ წავახალისებთ ქალთა ჩართულობას არა მხოლოდ პარტიულ საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს მეტი ქალის, როგორც ინფორმირებული ამომრჩევლების, აქტივისტებისა თუ ლიდერების ჩართვას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

მთავარი გეგმით გათვალისწინებული და ბავშვებზე მზრუნველობის რეფორმის მიზანი საქართველოში არსებული სიღარიბის პრობლემის ერთხელ და საბოლოოდ დაძლევაა. PISA-ს საერთაშორისო კვლევების თანახმად, მსოფლიოს 77 ქვეყნიდან, ზოგადი განათლების ხარისხის მიხედვით, საქართველო 69-ე პოზიციაზეა - ბოლო ათეულში მერვე ადგილს იკავებს. საქართველოში ასევე გვყავს 12 000 ბავშვი, რომლებიც განათლების მიღებასა და სკოლაში სიარულს ვერ ახერხებენ. ხშირ შემთხვევაში, განათლების უხარისხო სისტემა და განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვები ნიშნავს ჩვენი ქვეყნისთვის წარმატების და ზედნიერად ცხოვრების

შესაძლებლობის წართმევას. ქვეყანას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბავშვებს საკვებით, სამედიცინო სერვისებითა და განათლებით, მომავალი არ აქვს. ჩვენს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და განვითარების ყველაზე ეფექტიანი გზა ბავშვებზე, ჩვენს მომავალზე ზრუნვაა, მათ განათლებასა და ჯანმრთელობაში ინვესტირებაა.

ჩვენი გეგმით: 400 მილიონი ლარი ბავშვებში შიმშილის დასამარცხებლად:

- ზრუნვის 150-ლარიანი ფულადი მხარდაჭერა ყოველთვიურად გადაეცემა სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ოჯახებს, ოჯახში მცხოვრები თითოეული ბავშვისთვის;
- ჯანმრთელობის 400-ლარიანი კერძო, პრემიუმხარისხის ყოველწლიური სადაზღვევო ვაუჩერი გადაეცემა თითოეულ ოჯახს თითოეული ბავშვისთვის, რათა იზრუნონ შვილების ჯანმრთელობაზე;
- გასამზადება ბავშვების განათლების დაფინანსება და 2000-ლარიანი ყოველწლიური სასკოლო ვაუჩერი გადაეცემა სკოლის თითოეულ მოსწავლეს; უფასო სადილი საჯარო სკოლებში და უსაფრთხო გარემო - აი, ესაა ჩვენი კიდევ ერთი ამოცანა;
- 1000 ლარი მესამე და ყოველ მომდევნო ბავშვზე (გარდა მაღალშემოსავლიანი ოჯახებისა);
- გაიხსნება ბავშვთა თანამედროვე ონკოლოგიური ცენტრი - თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მაღალი კლასის სპეციალისტებით, სადაც მკურნალობა იქნება უფასო.

7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?

მთავარი გეგმა მიზნად ისახავს ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, რის მისაღწევადაც მნიშვნელოვანია, კულტურა სწორ მოტივაციებზე დაფუძნებულ, მაღალშემოსავლიან და წარმატებულ სფეროდ გარდაიქმნას.

დღეს, მსოფლიოში, კულტურა და კრეატიული ინდუსტრია მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-ს შეადგენს, ზრდის ყოველწლიური 10%-იანი პროგნოზით. დღეს, მსოფლიოში, კულტურა ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოებისა და მომსახურების ნებისმიერი სფერო. მსოფლიო მასშტაბით, ავტოწარმოებაში დასაქმებულთა მაჩვენებელი 2,5-ჯერ ნაკლებია კულტურის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობრივ მაჩვენებელზე.

კულტურის განვითარების ეროვნული ფონდი - 100 მილიონი ლარი დამატებითი ინვესტიცია კულტურის განვითარებისთვის; „კულტურის ეროვნული ფონდი“ გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმებით დააფინანსებს შემოქმედებით პროექტებს, რაც სფეროს რეპუტაციულ აღიარებას მოუტანს და კონკურენტულს გახდის საერთაშორისო დონეზე. მსგავსი აღიარება გაზრდის ჩვენი ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს, ხელს შეუწყობს ახალი ინვესტიციების შემოდიწინებას, კულტურის მუშაკთა ღირსეულ პროფესიულ ცხოვრებასა და სფეროს განვითარებას.

20%-ით ხელფასების ზრდა:

მთავარი გეგმის საგადასახადო რეფორმა, პირველივე წელს, სწორედ კულტურის სექტორში საშემოსავლო და მოგების გადასახადის გაუქმებით იწყება, რაც სფეროში დასაქმებულთა ხელფასებს მყისიერად გაზრდის 20%-ით და სფეროს განვითარების ახალ შესაძლებლობებს გააჩენს.

500 მილიონი ლარი - კულტურის განვითარებისთვის საერთაშორისო კინოწარმოებიდან:

- კულტურის სფეროდან მიღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი მოხმარდება კულტურის სფეროს განვითარებას. სახელმწიფო პროაქტიულად იმუშავებს საერთაშორისო ფესტივალებისა და კინონდუსტრიული პროექტების მოსაზიდად. ნულოვანი საგადასახადო სისტემა კინონდუსტრიაში, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური თანამონაწილეობა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებაში - ყოველივე ეს საქართველოს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მთლიანად მსოფლიოსთვის და კერძოდ - კინოწარმოებისთვის. ქვეყანაში საერთაშორისო კინოწარმოების განვითარება ხელს შეუწყობს როგორც მთლიანად კულტურის სფეროს, ისე კინოწარმოებასთან დაკავშირებული და მომიჯნავე ინდუსტრიების განვითარებას.

8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება, განსაკუთრებით - ურბანულ ცენტრებში;
- ნარჩენების გადამუშავების წახალისება;
- განახლებადი ენერჯის წილის გაზრდა საერთო მოხმარებაში;
- ჰესების მშენებლობა უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევებში და მხოლოდ საერთაშორისო კვალიფიციური დასკვნის საფუძველზე;
- რეკრეაციული ზონების გაფართოება ურბანულ ცენტრებში;
- მშენებლობის რეგულირება გამჭვირვალე კრიტერიუმებით, გარემოს დაცვის პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევა;
- მწვანე ეკონომიკის წახალისება.

9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საზოგადოებრივი უსაფრთხოება გაუმჯობესდება?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?

ისეთი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელთა დანიშვნისას, როგორცაა: პოლიცია, სასაჯელაღსრულების სამსახური, ზოგადი პროკურატურა და სამოხელეო საქმეთა პროკურატურა, სასამართლო ექსპერტიზის ბიურო, მთავარი როლი სწორედ სამოქალაქო სექტორისა და

არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მიენიჭებათ. ე.წ. მოსმენის გასაღები გადაეცემა დამოუკიდებელ სასამართლოს და სახალხო დამცველს ამ ფუნქციის განხორციელებაზე სრული და შეუზღუდავი მონიტორინგის უფლება მიენიჭება.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?

მთავარი გეგმის მიზანია: საქართველოს საერთაშორისო როლის გაზრდა დეოკუპაციისა და ევროინტეგრაციისთვის; ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერის გაძლიერება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების აღდგენა და განმტკიცება; ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების დაჩქარება; ინვესტიციების მოზიდვა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებაზე, საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობასა და სიმშვიდეზე.

„ქართული ოცნების“ მმართველობამ მიზანმიმართულად გააქრო საქართველო საერთაშორისო რადარებიდან, გააფუჭა ურთიერთობები ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დატოვა სახელმწიფო მხარდი ინვესტიციებისა და ევროინტეგრაციის პერსპექტივების გარეშე. საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება მყარი საგარეო კურსი, გააქტიურებული საერთაშორისო ურთიერთობები და სწრაფად მხარდი საერთაშორისო ინვესტიციები.

ჩვენი გეგმით:

- გააქტიურდება ნატო-საქართველოს პარტნიორობის ფორმატი და საქართველო გახდება ნატოს წევრი;
- დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობით, გააქტიურდება საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა, დაჩქარდება ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია;
- აღდგება და გაფართოვდება გაუარესებული ურთიერთობები ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, შეიქმნება სპეციალური სტრატეგია, რომელიც აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ეკონომიკური სიკეთის საქართველოს მოქალაქეებამდე მიტანას უზრუნველყოფს;
- ასევე შემუშავდება სპეციალური სტრატეგია, რომელიც ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ეკონომიკური სიკეთის საქართველოს მოქალაქეებამდე მიტანას უზრუნველყოფს;
- გააქტიურდება ჟენევის ფორმატის მოლაპარაკებები, სადაც საქართველო დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით არ არის ერთი ერთზე დარჩენილი რუსეთთან;
- საგარეო ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი მიზანი იქნება ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროგრამის

წარმატებულ მაგალითზე ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოძებნა და ათვისება;

- მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა ტურისტების მოზიდვას მდიდარი ქვეყნებიდან, საქართველოს პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.

2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

მთავარი გეგმის მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. ჩვენი მიზანია, ქვეყანა საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში, მსოფლიო მასშტაბით იყოს წარმატებული. უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო სახელმწიფოში ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების მთავარი წინაპირობაა.

ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრობა არის ქართველი ერის გაცნობიერებული არჩევანი. ჩვენ გავაგრძელებთ განუხრელ მსვლელობას ნატოში გაწევრიანების მიმართულებით, რაც იქნება საქართველოს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უსაფრთხოების, მათი ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საფუძველი.

კიდევ უფრო მეტად გავაღრმავებთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, გავაძლიერებთ თანამშრომლობას სამართალდამცავ და უსაფრთხოების დასავლურ სტრუქტურებთან, საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში გარე ჩარევების განეიტრალების მიზნით.

3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?

დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობით გააქტიურდება საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობა, დაჩქარდება ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია.

4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?

პარტიის პოზიცია ამ საკითხზე უცნობია.

ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა ეფუძნება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებასა და საქართველოს თავდაცვის სისტემების ნატოსთან სრულ თავსებადობას. ჩვენი

გეგმის მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. ჩვენი ამოცანაა, ქვეყანა საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში მსოფლიოს მასშტაბით იყოს წარმატებული. უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო არის მთავარი წინაპირობა სახელმწიფოში ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებისთვის.

2. როგორ წარმოვიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?

ჩვენი გეგმით:

- 20%-ით გაიზრდება ხელფასი ყველა სამხედრო მოსამსახურისთვის;
- ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრობა არის ქართველი ერის გაცნობიერებული არჩევანი. ჩვენ გავაგრძელებთ განუხრელ მსვლელობას ნატოში გაწევრიანების მიმართულებით, რაც იქნება საქართველოს სახელმწიფოსა და მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საფუძველი;
- კიდევ უფრო მეტად გავაღრმავებთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, გავაძლიერებთ თანამშრომლობას სამართალდამცავ და უსაფრთხოების დასავლურ სტრუქტურებთან, საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებში გარე ჩარევების განეიტრალების მიზნით;
- გავაძლიერებთ სამხედრო მრეწველობას, რომელიც, ერთი მხრივ, განამტკიცებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს ასობით მილიონი დოლარის ოდენობით;
- ახალი ძალისხმევით გავაგრძელებთ შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია-აღჭურვას, რაც ბოლო 8 წლის განმავლობაში შენელდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო, ანტისატანკო თავდაცვასა და კიბერუსაფრთხოებას;
- შეიარაღებულ ძალებს ეტაპობრივად და სრულად გადავიყვანთ პროფესიულ-საკონტრაქტო სისტემაზე, შესაბამისად, უარს ვიტყვით სავალდებულო სამხედრო სამსახურზე;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სამხედრო პირთა ობიექტურ პრინციპებზე დაფუძნებული კარიერული ზრდის, გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის დამკვიდრებას;
- გაიზრდება სამხედრო მოსამსახურეთა ანაზღაურება და მათ ოჯახებს გადაეცემათ ჯანმრთელობის დაზღვევის საუკეთესო პაკეტი;
- შრომისუნარიანობა დაკარგულ, დაჭრილ სამხედროებს შეუნარჩუნდებათ ხელფასის ასი პროცენტი, მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- სამხედრო ოპერაციებსა და მისიებში დაღუპულ სამხედროთა ოჯახებს შეუნარჩუნდებათ ხელფასის ასი პროცენტი, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?

ძალის არგამოყენებისა და მშვიდობიან პოლიტიკას, აქტიური დიპლომატიის გზით საქართველოს დეოკუპაციის მისაღწევად. ჩვენ 2009 წელს ცალმხრივად გამოცხადებული ძალის არგამოყენების

პრინციპის ერთგულები ვრჩებით. ამავე დროს, განვაახლებთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების ჩართულობის პროგრამებს.

4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაძლიერდეს უსაფრთხოების საპოლიციო ღონისძიებები საოკუპაციო ხაზთან. უზრუნველვეყოფთ საერთაშორისო საზოგადოების მეტ ჩართულობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებში.